გუნდური მუშაობა კომპანიების მართვაში

ცოტნე ლიპარტია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე მენეჯმენტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი)

პროექტის ხელმძღვანელი: ნათია ვაჩეიშვილი, დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ცოტნე ლიპარტია

21.06.21

აბსტრაქტი

გუნდური მუშაობა კომპანიის მართვისას ეფექტურ სტრატეგიას წარმოადგენს. გუნდური მუშაობა ემსახურება, როგორც კომპანიის ზრდა-განვითარებას, ისე თანამშრომელთა ერთიან ძალისხმევასაც, რომელიც თავისთავად მიმართულია მათი განვითარებისკენაც. კვლევის შედეგად ჩანს ის ფაქტიც თუ რას იღებდა თითოეული თანამშრომელი გუნდური მუშაობით და რას აღწევდა ორგანიზაციაც ამასთან ერთად. რაოდენობრივმა კვლევამ დაგვანახა ის აქტუალური საკითხები რაც ქართულ კომპანიებში იყო გუნდური მუშაობის ირგვლივ, დადებით გავლენასთან ერთად ნათლად გამოჩნდა ის ფაქტიც, რომ ქართული კომპანიები საკმაოდ დიდ ყურადღებას აქცევენ გუნდური გარემოს შექმნას და გუნდების ფორმირებას რისი დასკვნის საფუძველსაც იძლევა რაოდენობრივ კვლევაში შეფასებული თითოეული კითხვა, რომელიც რესპონდენტებმა დააფიქსირეს. წყაროებს, რომ შევხედოთ და გავცდეთ საქართველოს ფარგლებს უცხოელი ავტორები თავიანთ ნაშრომებში მკაფიოდ აფიქსირებდნენ პოზიციებს გუნდური მუშაობის მიმართ და მის შედეგებს ორგანიზაციის საქმიანობის ჭრილში, ეს არ იყო მხოლოდ ერთი კუთხით განხილული, არამედ ამგვარი მეორეული წყაროები საშულებას იძლეოდა მრავალმხრივ მოგვეხდინა თემის ანალიზი და ამ შეჯამებით გამეკეთებინა დასკვნა, რომ მართლაც დადებითი სტრატეგიაა გუნდური მუშაობა. ავტორები აღნიშნავდნენ, რომ ამგვარი სტრატეგია არ იყო მხოლოდ ორგანიზაციის განვითარებისკენ მიმართული არამედ იგი ემსახურებოდა თანამშრომელთა განვითარებას ამ პროცესში.

წყაროების განხილვისას გამოიყო ის ფუნდამენტური საკითხები რომლებიც გუნდურ მუშაობას და გუნდის სწორად ფორმირებას უკავშირდება, ვინაიდან ეს საწყის ეტაპს წარმოადგენს შემდგომი სტრატეგიების შესაბამისად გუნდურობის დადებითობის მაჩვენებელი სხვაგვარად არ დაფიქსირდებოდა, რომ არა ის საწყისი ეტაპები რაც გუნდის

ფორმირებას და მის განვითარებას უდევს საფუძვლად. მსგავსი საკითხების უკეთ გასააზრებლად ძალიან დიდი ინფორმაციები იქნა მოძიებული უცხოურ წყაროებში რამაც მიგვიყვანა საბოლოო ეტაპამდე და ჩვენი ჰიპოთეზის დაზუსტებამდე. ისევ კვლევას, რომ დავუბრუნდეთ რაოდენობრივ კვლევასთან ერთად ფოკუს ჯგუფმა მოგვცა საშუალება უშუალოდ გავესაუბრო ისეთ ადამიანებთან ვინც მუშაობდნენ გუნდურ გარემოში სხვადასხვა მიმართულებებით, ამ ტიპის შეხვედრამ მოგვცა ფასეული ინფორმაცია გუნდურობასთან დაკავშირებით და გვიბიძგა იმისკენ,რომ უფრო ხმამაღლა მეთქვა თუ რაოდენ დადებით სტრატეგიას წარმოადგენს გუნდური მუშაობა. ამასთან ერთად ფოკუს ჯგუფის ტრანსკრიპტი დამეხმარა კვლევის მიზნების თანახმად მომეხდინა პასუხების დაკავშირება ჩემს საკითხებთან. მონაცემთა ანალიზის დროს მოხდა მონაცემების შემოწმება და კატეგორიებად განაწილება, რომელმაც აბსოლუტურად დაადასტურა კვლევის ჰიპოთეზა და გამოყო ის ფუნდამენტური ცვლადები რომლებიც დამოკიდებული და განმაპირობებელი იყო დადებით კონტექსტში გუნდურ სტრატეგიებთან, ამასთან ერთად კვლევამ საშუალება მომცა დამეფიქსირებინა ისეთი საკითხებიც რაც ხელშემწყობი ბერკეტი იქნებოდა გუნდური სტრატეგიისთვის, ეს საკვანძო საკითხები მდგომარეობდა შემდეგში: გუნდის შერჩევა, გუნდის ლიდერის არჩევა, საერთო მიზნის დასახვა, კომუნიკაცია, მოტივაცია და სხვა ბევრი ისეთი დამხმარე ნიშნები რომლებიც ამ საკითხის მიმართ იყო მიმართული.

ნაშრომში ასევე განხილულ იქნა ის სისუსტეები და საფრთხეები რაც შეიძლება გუნდურ მუშაობას ახლდეს თან. ორმხრივი ანალიზი კი საშუალებას იძლევა მეტად მკაფიო და ამომწურავი იყოს საკითხი სხვადასხვა კონტექსტში.

Abstract

For a company management team working is very effective strategy. Team work is good to grow and develop our companies and team members. According researches we can see what company and team members got from this experience. The quantitative research shows that this is active assue in Georgian companies too, there is not only good side effects, but others too, also this shows that Georgian companies pay attention to create teamwork environment and a group formation. According to sourses we can see that foreign authors also have some opinions about teamwork and that is how can develop companies from it, there are so many sources about it,which helps us to consider how does it works,in the same way it helped me to made a conclusion.I think,that teamworking is really a positive strategy. Some autors say that it is not only good to develop our companies, but it makes our emoloyees to be evolved group members.When reviewing sourses we saw that there was some fundamental issue, which was connected with team work and to make team properly and exactly that one is the top of strategies. We can understand some issues when we search more information about teamwork. I saw some important information in foreign pages and that made me to realize the hypothesis and that was the last phase.

The focus group made me opportunities to speak with group which works in team enviroment. That conversation gave me a lot of information about a teamwork. Finally, I can say that teamworking is the best strategy for a companies. This research gaved me some promotion issues such as: to pick a team, also to choose a team leader, set a common goal, communication, motivation and e.c.